ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6914566

ნომერი: AR11014156

თარიღი : 05.02.2024

გაცემის თარიღი : 01.03.2024

გაცნობის თარიღი : 01.03.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ქიზიყის ქუჩა, N 3ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლალი ავაქიშვილი პ/ნ 36001003531
- საგარეჯო ს. მანავი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საამქრო/სტამბა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება და გაცნობებთ:

..მოთხოვნის შინაარსი -> ....მოთხოვნის ტექსტი: მოთხოვნის შინაარსში განიმარტოს საპროექტო შენობის ფუნქცია მისი საჭიროება და დანიშნულება(განიმარტოს რა დანიშნულების საამქროს მშენებლობა იგეგმება);

....არებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500 -> ....ტოპოგრაფიული გეგმის pdf ფაილი : წარმოდგენილი იქნას გენ- გეგმა ხელმოწერილი შემსრულებლის მიერ და დასკანირებული სახით

....არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ....ფოტოსურათების pdf ფაილი : დღეის მდგომარეობით გადაღებული (ეზოს გარეთ და ეზოს შიდა მხრიდან ფიქსაციი) არსე ბული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები დათარიღებული სახით . გაითვალისწინეთ ფოტოსურათები უნდა ასახავდეს ტერიტორიაზე არსებულ მდგომარეობას სრულად.

....საინფორმაციო დაფა-ბანერი -> ....საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-19-ე მუხლის, მე-2 ქვეპუნქტის შესაბამისად აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:
• ა) მშენებლობის ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაციას;
• ბ) მიწის ნაკვეთის მისამართს;
• გ) მშენებლობის სახეობას და შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებას;
• დ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელებას/მისამართს და განაცხადის განხილვის ვადებს;
• ე) შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობას ან/და გაბარიტებს.
საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ (გარდა II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა) -> განმარტებითი ბარათი: -საჭიროა წარმოდგენილი იქნას საპროექტო შენობის განთავსების სქემა დაგეგმილი გამწვანების შესახებ ინფორმაციით, სავარაუდო გამწვანების პროექტის აღწერით (გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ნებართვის გაცემისას) და ექსპერტის დასკვნა მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ, რათა სამსახურმა შემდგომი რეაგირებისათვის საპროექტო დოკუმენტაცია გადაგზავნოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან;რათა სამსახურმა შემდგომი რეაგირებისათვის საპროექტო დოკუმენტაცია გადაგზავნოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან;
ამ ეტაპზე შენობის განთავსების ასდგილი , ფაქტიურად მთლიან მიწის ნაკვეთის არეალს ფარავს , თუ ამ სახით გეგმავთ საპროექტო შენობის განთავსებას დამატებით ასახეთ საპროექტო შენობის კ-1 და კ2 ასევე კ-3 კოეფიციენტი ფდა დაიცავით უკანა ეზოს რეგულირების ხაზი (იხ დანართი)

ქ თბილისის ინტერაქტიულ რუკაზე (http://maps.tbilisi.gov.ge) ნაკვეთზე ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები (ს/კ01.00.227 და ს/კ01.00.083)ელექტროგადამცემი ხაზი (გარე განათების თვითმზიდი იზოლირებული სადენი) საჭიროა წარმოდგენილი იქნას მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით , ხოლო პროექტის შეთანხმების ეტაპზე , წარმოსადგენი გექნებათ შესაბამისი წესით დამოწმებული გრაფიკული მასალა (გენგეგმის სახით);

საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენიგანცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.